იოჰანეს კნეჰტი (ბიოგრაფია)

დაიბადა ქალაქ შპაიერში, გერმანიაში. იგი იყო პასტორის შვილი, ამდენად, მისი ბავშვობა მჭიდროდაა დაკავშირებული საეკლესიო მუსიკასთან. მოგვიანებით ეუფლება ვიოლინოს ვალერი კლიმოვთან, ზაარბრუკენში, და ფორტეპიანოს და დირიჟორობას, მანჰაიმსა და კიოლნში.

რამდენიმე წლის განმავლობაში იოჰანეს კნეჰტი მუშაობს როგორც კამერული მუსიკოსი და ორკესტრის წევრი. მუსიკალური თეატრისადმი დიდი სიყვარული კნეჰტს გერმანიის სხვადასხვა საოპერო თეატრთან აკავშირებს, სადაც, იგი დირიჟორისა და ქორმაისტერის პოზიციებზეა. ბოლო წლებში იგი შტუტგარტის სახელმწიფო საოპერო თეატრის ქორმაისტერია; იწვევენ სხვადასხვა გუნდებშიც, როგორებიცაა რადიომაუწყებლობების - SWR Vokalensemble, NDR Radio და WDR Radio გუნდები. იგი არის ახალგაზრდული გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი ფონდ International Bachakademie Stuttgart –ში, ასევე, შტუტგარტის ფილარმონიული გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი. კნეჰტი მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ფესტივალებში - “Lucerne Festival”, და “Osterfestspiele Baden Baden”.

პროფესორი იოჰანეს კნეჰტს მიჰყავს გუნდის დირიჟორობის და ვოკალური ანსამბლის კლასები შტუტგარტის მუსიკის აკადემიაში. 2017 წლიდან კი - გუნდის დირიჟორობის კლასი ლიუბეკის მუსიკის აკადემიაში.